ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7361683

ნომერი: AR11073333

თარიღი : 17.01.2025

გაცემის თარიღი : 30.01.2025

გაცნობის თარიღი : 30.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 63;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ურუშაძე პ/ნ 01008050556
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 12 ბ. 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17 იანვარს №AR11073333 განცხადებით მომართა კონსტანტინე ურუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 30

ოქტომბრის №7269930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებით, №01.14.05.005.121 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობის ფოტომონტაჟების, ფასადების (1-4 გვერდები), ჭრილებისა და "სავიზიტო" სურათების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟებით, ფასადებითა და ჭრილებით. ვინაიდან, როგორც განმცხადებელი განმარტავს, აღნიშნული დოკუმენტაცია შეუსაბამოა შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟები, ფასადები, ჭრილები და "სავიზიტო" სურათები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად, ურთიერთშეუსაბამო ფოტომონტაჟები, ფასადები, ჭრილები და "სავიზიტო" სურათები იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, შესაძლებელია მათ ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული ფოტომონტაჟებით, ფასადებით, ჭრილებითა და "სავიზიტო" სურათებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებაში და შეთანხმებული ფოტომონტაჟები, ფასადები (1-4 გვერდები), ჭრილები და "სავიზიტო" სურათები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული ფოტომონტაჟებით, ფასადებით, ჭრილებითა და "სავიზიტო" სურათებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269930 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.